შპს უსაფრთხოების აკადემიის შემსწავლელი ცენტრი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

კატალოგი

კატალოგი 2024

მისამართი: თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ.14ა

საკონტაქტო ტელეფონი: +995 577 04 48 04

ვებ-გვერდი: www. safetyacademy.ge

ელ.ფოსტა: info@safetyacademia.ge

ფეისბუქ-გვერდი: https://www.facebook.com/SafetyAcademia

ს ა რ ჩ ე ვ ი

ზოგადი ინფორმაცია ———————————————— 3

მისია ———————————————————————— 4

ხედვა ———————————————————————— 4

ღირებულები ——————————————————— 4

სტრუქტურა ——————————————————— 5

მატერიალური ბაზა ——————————————— 5

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია - 6

სტუდენტური სერვისები ——————————————— 14

კოლეჯის პერსონალი ——————————————— 15

ზოგადი ინფორმაცია

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც დაარსდა 2019 წელს და დღემდე ზრუნავს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური კადრების მომზადებისთვის.

ორგანიზაციამ 2024 წელს გაიარა კოლეჯის ავტორიზაცია და ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი შრომის უსაფრთხოების და გარემო დაცვითი ტექნოლოგიების პროფესიული პროგრამის (მეხუთე დონე) განხორციელების უფლება მოიპოვა.

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრმა არსებობის მანძილზე ბევრ წარმატებას მიაღწია:

2019 წელს წარმატებით გაიარა აკრედიტაცია და მოიპოვა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის 230 პროგრამის წარმოების უფლება. კურსის ფარგლებში დააწესა სტიპენდიანტის პროგრამა 90%-ზე მაღალი შეფასებით დასრულებულ საკვალიფიკაციო გამოცდისთვის. დღეის მონაცემებით ორგანიზაციას ყავს 21-ი კურსდამთავრებული ჯგუფი და 3 მიმდინარე.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები. ისინი მუდმივად ზრუნავენ კვალიფიკაციის ამაღლებაზე სხვადასხვა ტრენინგებში და ღონისძიებებში მონაწილეობით, რითიც შეაქვთ საკუთარი წვლილი პროფესიული პროგრამების დახვეწა/განვითარებაში.

პრაქტიკულ კომპონენტებს პროფესიულ სტუდენტები ეუფლებიან წარმატებულ ორგანიზაციებსა და კომპანიებში, კვალიფიციური კადრების ხელშეწყობით.

ჩვენ ორგანიზაციაში მიღებული თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კურსდამთავრებულების დასაქმების მაღალ მაჩვენებელს ადასტურებს მათი დასაქმების სტატისტიკა.

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი დარსების დღიდან ფეხს უწყობს ქვეყანაში განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებს და აქტიურად არის ჩართული პროფესიული განათლების განვითარების პროცესში.

მისია

კოლეჯი „შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლის ძალისხმევა მიმართულია უზრუნველყოს შრომის ბაზარზე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების დეფიციტის დაძლევა და შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება კვალიფიციური კადრებით. სწავლების პროცესი წარმართოს განსაკუთრებული აქცენტით შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში შრომის უსაფრთხოების კულტურის ჩამოყალიბებას, გაძლიერებასა და განმტკიცებას.

ხედვა

2031 წლისთვის კოლეჯი „შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი“ წარმოადგენს რეიტინგულ და ღია საგანმანათლებლო სივრცეს, რომელიც თანამედროვე შრომის ბაზრისთვის აქტუალური შრომის უსაფრთხოების მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებით, მოწინავე, შრომის უსაფრთხოებაზე აქცენტრირებულ საგანმანათლებლო პროგრამებით, შრომის უსაფრთხოების ყველა არსებული საკანონმდებლო ნორმის დაცვით და უსაფრთხოების კულტურაზე აქცენტირებით ქმნის კვალიფიციურ ადამიანურ რესურსს, რითაც წვლილი შეაქვს ქვეყნისა და საზოგადოების განვითარებაში.

ღირებულებები

1. იზიარებს რა მოწინავე დასავლურ საგანმანათლებლო პრინციპებს, კოლეჯი მხარს უჭერს კრიტიკულ, ინოვაციურ და შემოქმედებით აზროვნებას;
2. საქმიანობს რა მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობის და ხარისხის განვითარების პრინციპებით, ქმნის კოლეჯის საზოგადოებისთვის (განურჩევლად ეროვნებისა, მრწამსისა, სქესისა, შესაძლებლობებისა და სხვ.) თვითრეალიზაციის თანასწორ პირობებს;
3. აღიარებს რა კორპორატიულ კულტურას, ეწევა კოლეგიალობაზე, გუნდურ მუშაობაზე, ეთიკასა და ადამიანის უფლებების პატივისცემაზე დაფუძნებულ საქმიანობას;
4. იცავს საქართველოს შრომის უსაფრთხოების კუთხით არსებულ ყველა საკანონმდებლო მოთხოვნას და აყალიბებს შრომის უსაფრთხოების კულტურას მისი ფუნქციონირების სფეროში.

სტრუქტურა

ჩვენი სტრუქტურა წარმოდგენილია მმართველობითი, საგანმანათლებლო და დამხმარე ერთეულებით. მმართველობითი ერთეულებია: კოლეჯის საბჭო; კოლეჯის რექტორი;

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; ადმინისტრაციისა და საქმისწარმოების სამსახური. საგანმანათლებლო ერთეულია: სასწავლო პროცესის მართვის სამსახური. კოლეჯის დამხმარე ერთეულებია: პერსონალის მართვისა და უწყვეტი განათლების სამსახური; ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური; ბიბლიოთეკა; იურიდიული სამსახური; საფინანსო სამსახური; მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის სამსახური; საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარიერული განვითარებისა და სტუდენტურ საქმეთა სამსახური; შრომის უსაფრთხოებისა და დაცვის სამსახური. თითოეული სტრუქტურული ერთეული საქმიანობას წარმართავს სამსახურის დებულებით განსაზღვრული მიზნების, ფუნქციების, უფლებამოსილების და ანგარიშვალდებულების შესაბამისად. უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობის პირია რექტორი, რომლის წინაშე ანგარიშვალდებულია ყველა სტრუქტურული ერთეული. უმაღლესი სათათბირო და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა კოლეჯის საბჭო.

მატერიალური ბაზა

კოლეჯს კანონიერ საკუთრებაში აქვს 565 კვ.მ შენობა, რომელიც ადეკვატურად პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნებს და შეესაბამება სტუდენტთა მოთხოვნილ რაოდენობას. კოლეჯს აქვს საგანამანათლებლო პროცესის ადმინისტრაციული და სასწავლო კომპონენტების განხორციელებისთვის შესაფერისი და შშმ ადაპტირებული გარემო, რომელიც აღჭურვილია საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. მოწყობილი და ხელმისაწვდომია სივრცე სტუდენტებისა და პერსონალის დამოუკიდებელი მუშაობისთვის, რომელიც აღჭურვილია სათანადოდ, მათ შორის - კომპიუტერული ტექნიკით. კოლეჯს აქვს სათანადოდ აღჭურვილი ბიბლიოთეკა და სამკითხველო. სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. კოლეჯს აქვს ფოიე, გამიჯნული სანიტარული კვანძი, სწრაფი კვების კაფეტერია. ჩვენ ვუზრუნველყოფთ ინფრასტრუქტურის, სივრცეების და მატერიალური რესურსების თანაბარ ხელმისაწვდომობას სტუდენტებისთვის. შენობის მთელ ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები. კოლეჯს აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობის მედეგობის, აგრეთვე სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. შენობაში გამოკრულია საგანგებო სიტუაციებში მოქმედების და ევაკუაციის გეგმა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი გთავაზობთ მაღალი ხარისხის, თანამედროვე, შედეგებზე ორიენტირებულ პროგრამას. ამ პროგრამაში პრაქტიკული სწავლების წილი იმდენად ეფექტიანია, რომ პროფესიული სტუდენტები ეფექტურად იძენენ იმ პრაქტიკულ უნარ ჩვევებს რაც ხელს უწყობს მათ არამარტო დასაქმებას, არამედ პროფესიულ

წინსვლას და წარმატებას შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვაასა და მართვის საკითხში.

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე - შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები / Occupational Safety and Environmental Technology

- მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში / Higher Vocational Qualification in Occupational Safety and Environmental Technology

- აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს -"გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" - კოდი 0712, აღმწერი - „შეისწავლის გარემოს დამაბინძურებელი ნივთიერებებისა და ნარჩენების მინიმუმამდე შემცირების, ასევე გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების პროცესებს. იგი მოიცავს ჰაერის, წყლის, ნიადაგის და ა.შ. კონტროლთან დაკავშირებულ პროგრამებს".

- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს შეიმუშაოს სამუშაოს ნეგატიური ასპექტებისგან დასაქმებულთა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მექანიზმი, შექმნას პირობები ჯანსაღი და ღირსეული საქმიანობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოფს შრომის დაცვითი ღონისძიებების დანერგვა და მართვა.

- დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება.

- დასაქმების სფერო და შესაძლებლობები - შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერი/სპეციალისტი შეიძლება დასაქმდეს სხვადასხვა სფეროების: მშენებლობის, ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების, ნავთობისა და გაზის, ლოჯისტიკის, ტრანსპორტის, მძიმე მრეწველობის, სამთო მრეწველობის, საზღვაო პორტების, კომუნიკაციების, ტურიზმის, სარესტორნო, გასართობ, სავაჭრო, საგანმანათლებო დაწესებულებებში: უსაფრთხოების ინსპექტორად/მენეჯერად; ჯანმრთელობის დაცვის ინსპექტორად/მენეჯერად; შრომის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ინსპექტორად/მენეჯერად; დაბინძურების ინსპექტორად; ჯანსაღი სამუშაო გარემოს დაცვის ოფიცერად; შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მრჩეველად; გარემოს დაცვის მრჩეველად; შრომის ჰიგიენის სპეციალისტად/მენეჯერად; ნარჩენების შეგროვების სპეციალისტად; ნარჩენების დამუშავება-მოცილების სპეციალისტად; დაბინძურებისაგან გასუფთავება-ნარჩენების მართვის ინსპექტორად; უსაფრთხოების დაცვის სპაციალისტად/ მენეჯერად; შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერად ან სპეციალისტად; სახელმწიფოს შრომის ინსპექტირების სამსახურებში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერად ან სპეციალისტად; სხვადასხვა კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერად ან სპეციალისტად.

  - ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 38.; 38.1; 38.2; 39.; 39.0; 80; 86; 81
  - დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3257

- სტრუქტურა და მოდულები - „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში“ პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პირმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი.

№	ზოგადი მოდულები	კრედიტი
1.	ინფორმაციური წიგნიერება 2	3
2.	უცხოური ენა	5
3.	მეწარმეობა 3	3
	ჯამი:	**11**
№	**პროფესიული მოდულები**	**კრედიტი**
1.	გაცნობითი პრაქტიკა – შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები	2
2.	ფსიქოლოგიის საფუძვლები	4
3.	ანატომიის საფუძვლები	4
4.	გარემოს დაცვის საფუძვლები	4
5.	მენეჯმენტის საფუძვლები	3
6.	დარგობრივი უცხოური ენა	3
7.	ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი რეგულაციები და სტანდარტები	8
8.	საფრთხეებისა და რისკის კონტროლი სამუშაო (დასაქმების) ადგილზე	4
9.	ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტი	6
10.	გარემოს დაცვის მენეჯმენტი	4
11.	საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაზიანების საფრთხეები და რისკის კონტროლი	4
12.	ქიმიური და ბიოქიმიური საფრთხეების და რისკის კონტროლი	4
13.	ელექტრო და სახანძრო უსაფრთხოება	5
14.	გარემოს დაცვა და კლიმატური გამოწვევები	7
15.	ნარჩენების მართვა	7
16.	წყლისა და ჰაერის დაბინძურება	7
17.	ტრანსპორტის უსაფრთხოების და რისკის კონტროლი	3
18.	გარემოსდაცვით საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დაგეგმვა	4
19.	ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაზიანების საფრთხეების და რისკის კონტროლი	4
20	სამუშაო აღჭურვილობის საფრთხეების და რისკის კონტროლი	2
21.	საწარმოო პრაქტიკა	20
	ჯამი:	**109**

❖ **მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამი სწავლის შედეგები**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

სწავლის შედეგები შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მიმართულებით

1. შეადგინოს უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის, გარემოსდაცვითი გეგმა
2. შეიმუშაოს და განაახლოს პროცედურები და ინსტრუქციები
3. შეაფასოს პროფესიული დაზიანებები და აკონტროლოს რისკი

4. შეაფასოს, გააკონტროლოს და განსაზღვროს ქიმიური და ბიოქიმიური საფრთხეების პრევენციული ზომები
5. დაიცვას ელექტროუსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთოების წესები
6. განახორციელოს ევაკუაციის პროცესები
7. გაწიოს პირველადი გადაუდებელი დახმარება
8. გაატაროს საფრთხეების პრევენციისა და რისკების შემცირების ღონისძიებები
9. აკონტროლოს სამუშაო ადგილზე ადამიანთა და სამსახურებრივი ტრანსპორტის უსაფრთხოდ გადაადგილება
10. შეაფასოს გარემოზე, ეკონომიკასა და საზოგადოებაზე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების გავლენა
11. განახორციელოს გარემოსდაცვითი სისტემის აუდიტი და მონიტორინგი
12. დაგეგმოს უსაფრთხო სასმელი წყლის დაცვისა და გამოყენების ნორმების დაცვით მოქმედება
13. აკონტროლოს წყლის წყაროების დაბინძურება
14. აკონტროლოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ჰაერში გაფრქვევის შემცირება.

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

შეფასება განხორციელდეს ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა – ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სსმ და შშმ პროფესიული სტუდენტებისთვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას და სასწავლო რესურსების საჭიროებისამებრ ადაპტირებას, რაც გულისხმობს ასეთი საჭიროების შემთხვევაში სასწავლო რესურსების შინაარსობრივი და/ან ვიზუალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. აღნიშნულთან დაკავშირებით, სწავლის შედეგების ცვლილების შესაბამისად, ხდება სწავლის დასრულების შედეგის შესახებ ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღება და სწავლის დასრულების შესაბამისი დოკუმენტირება (მათ შორის – სწავლის დასრულების ცნობის გაცემა) სტუდენტის ინფორმირებულობის საფუძველზე.

პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერა

ადმინისტრაციული მხარდაჭერა - ახორციელებს სტუდენტთა მომსახურებას, გასცემს ინფორმაციას და კონსულტაციებს რეგისტრაციის, ჩარიცხვის, დამატებითი აქტივობების და სხვა მნიშვნელოვან საკითხებში. გასცემს ცნობებს, საჭირო დოკუმენტაციას და სხვა. კოლეჯის ადმინისტრაციული მხარდაჭერა გულისხმობს კოლეჯის სერვისებით მოსარგებლე

პირების საჭიროებებზე დროულ რეაგირებას და მათ მხარდაჭერას. კოლეჯის სერვისებით მოსარგებლეები პირების მოთხოვნის შესაბამისად იღებენ ინფორმაციას დროულად. გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოთხოვნის ადმინისტრირება საჭიროებს გარკვეულ დროს. ეს უკანასკნელი არ აღემატება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პერიოდს.

საკონსულტაციო მომსახურება - კოლეჯში საკონსულტაციო მომსახურება წარმოებს ისეთი საკითხებით, როგორიცაა:

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე / პროფესიული მომზადების პროგრამაზე / პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები;
1. სასწავლო პროცესი;
2. დამატებითი აქტივობები;
3. ადმინისტრაციული საკითხები;
4. კოლეჯში მიმდინარე პროგრამების შესახებ ინფორმაციას და სხვა.

სტუდენტთა უფლებები

ჩვენ ვზრუნავთ სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნაზე, სადაც უზრუნველყოფილი იქნება სტუდენთა უფლებები:

1. მიიღოს ხარისხიანი განათლება;
2. ისარგებლოს სტუდენტზე მიმართული ყველა სერვისით;
3. თანასწორ პირობებში ისარგებლოს მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა რესურსებით;
4. აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;
5. მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში;
6. მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის და პერსონალის პერიოდულ შეფასებაში;
7. საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი სტუდენტურ თვითმმართველობაში, ასევე - არჩეულ იქნას სტუდენტურ თვითმმართველობასა და კოლეჯის მართვის ორგანოებში;
8. ისარგებლოს მობილობით კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;
9. ფლობდეს ინფორმაციას გამოცდების ჩატარების ვადებისა და ფორმატის თაობაზე;
10. მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და სურვილისამებრ დადგენილი წესით გაასაჩივროს საგამოცდო შედეგი;
11. მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია პსდ საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო მოდულების შესახებ.

სწავლის უფლება

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, რომელმაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები, ხოლო ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე მხოლოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და ვადით. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ადგენს ეროვნულ გამოცდებგავლილ იმ აბიტურიენტთა სიებს, რომლებმაც უფლება მოიპოვეს, ისწავლონ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. აბიტურიენტის ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში. სასწავლო სემესტრის დაწყებამდე სტუდენტი გადის სასწავლო რეგისტრაციას სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებსა და სხვა სასწავლო აქტივობებში. სასწავლო კურსებზე, რომელთათვის განსაზღვრულია წინაპირობა, სტუდენტის რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ აღნიშნული წინაპირობის შესრულების შემთხვევაში. სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის შეცვლა, გაუქმება ან დამატება დასაშვებია სასწავლო პროცესის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში.

სწვლის შედეგების შეფასება

სწავლის შედეგების შეფასების სისტემის გაცნობა სტუდენტებისთვის ხდება სწავლის დაწყებამდე საორიენტაციო შეხვედრის ფორმატში. ასევე თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს მიეწოდება სასწავლო კურსის მასწავლებლის მხრიდან პირველ მეცადინეობაზე სასწავლო მოდულის გაცნობის ფარგლებში. აღნიშნულის მარეგულირებელი შიდა სამართლებრივი აქტები - "სასწავლო პროცესის რეგულირების წესი" და "სწავლის შედეგების შეფასების წესი" განთავსებულია ვებ-გვერდზე და ხელმისწავდომია სტუდენტებისთვის. კოლეჯის სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათი სწავლის შედეგების შეფასების შესახებ. შეფასების შედეგების უკუკავშირის დროს დაცულია სტუდენტის კონფიდენციალობა.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზანია ამგვარი საჭიროების მქონე სტუდენტის მხარდაჭერა და მისთვის სწავლის გაგრძელების ხელშეწყობა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მუშავდება: ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების, ბ)საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელების შეუძლებლობის და გ)სტუდენტთა განსხვავებული მოთხოვნების (მობილობით ჩარიცხული სტუდენტები, შშმ სტუდენტები, სხვადასხვა საპატიო მიზეზით პროგრამის გაცდენის მქონე სტუდენტები)

შემთხვევაში მათთვის სასწავლო სერვისის შეუფერხებლად მიწოდების მიზნით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მუშავდება ასევე საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის ან საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევებში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარმოადგენს სტუდენტის განსხვავებულ მოთხოვნებზე მორგებულ სასწავლო გეგმას, სწავლა-სწავლებისა და შეფასების სათანადო ფორმით და პირობით. ჩვენ ვუზრუნველყოფს აგრეთვე სსმ და შშმ პროფესიული სტუდენტებისთვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას და სასწავლო რესურსების საჭიროებისამებრ ადაპტირებას, რაც გულისხმობს ასეთი საჭიროების შემთხვევაში სასწავლო რესურსების შინაარსობრივი და/ან ვიზუალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

არაფორმალური აქტივობები

ჯანსაღი ცხოვრების წესის და თავისუფალი დროის საინტერესოდ დაგეგმვის ხელშეწყობის მიზნით ჩვენ ვატარებთ კულტურულ, სპორტულ და ტურისტულ ღონისძიებებს და ვმონაწილეობთ მათში. სპორტულ, ტურისტულ და შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილეობას ღებულობენ სტუდენტები, ადმინისტრაციული და სასწავლო პერსონალი. სპორტულ და შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილეობის წახალისების მიზნით კოლეჯი მონაწილეთათვის აწესებს ჯილდოს. ჩვენ მხარს ვუჭერთ კოლეჯის საზოგადოების არაფორმალურ ინიციატივებს. კერძო ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით სტუდენტებსა და თანამშრომლებს საშუალება აქვთ კოლეჯის სივრცე გამოიყენონ სხვადასხვა შემოქმედებითი და სამუშაო შეხვედრებისთვის.

კოლეჯის პერსონალი

კოლეჯის პროფესიულ მასწავლებელსა და ადმინისტრაციის პერსონალს გააჩნია სასწავლო პროცესების დაგეგმვისა და მართვის დიდი გამოცდლილება. თუმცა კოლეჯის პროგრამების განხორციელების ფარგლებში ორგანიზაცია ხელს უწყობს მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, როგორც სასწავლებლის, ისე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და სხვა ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების საშუალებით.

შერჩევის გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურა. ჩვენ ვამაყობთ, რომ გვყავს პრაქტიკოსი პროფესიული მასწავლებლები, აქვთ უდიდესი სპეციფიური გამოცდილება შროის უსაფრთხოების კუთხით, რომელსაც გადასცემენ სტუდენტებს.

ადმინისტრაციული პერსონალი არის მომზადებული და მზადყოფნაში ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტებს კოლეჯში ადაპტაციას და დაეხმარეს მათ, უწყვეტი თანამშრომლობით,

კოლეჯში მიმდინარე აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიღებაში.

ინფორმაცია პერსონალის შესახებ მოცემულია ვებგვერდზე www.safetyacademy.ge